1908 წ. გამოც. 3.

ფასი ყველგან 10 კ.



იუმორისტული ალმანახი

ეშმაკი

ალმანახი გამოდის მაშინ, როცა ეს მოსახერხებელი იქნება გამომცემლისათვის. ხელის-მოწერა არ მიიღება. დასაბეჭდი მასალები გამოიგზავნება შემდეგ ადრესზე: Типографія Т-ва «Шрома» для Алманаха.

4826

აკაკი ქუთაისში.

ოდეს სიქარბე გრძნობათა
შეგწვავს და შეგაწუხებსო,
ადამიანსაც ხორც-შესხმულს
ცხენობას მოგასურვებსო.

გრძნობა რო სჭარბობთ იმერლებს
ცხადი და უექველია...
იმათი ხვანცარიკობაც
არ ახალია, ძველია.
აკაკის დღეობაზედაც
აეხსნათ საღერღელია
და რაც კი გაეწყობოდა
აღარ დააკლეს ხელია.
აი თუნდ შეხეთ, ქუჩები
რა ტურფა სანახავია,
განურჩევლათ სქესისა
აქ მოუყრიათ თავია,
ზედ აივნები დასცქერით
ნოხებით შენამკავია,
ხეზედ ასულან ბავშვები
არ ენანებათ თავია.
თვალს მოგტაცემენ მხევალნი

...მეცნიერებათა აკადემ...

მოკაზმულ-მონართავია,
„მრისხანე“ ქუჩის მცველებსაც
არ უჩანთ სახე ავია,
თუმც მრავალია ქუჩებში
მუჯლუგუნ გასაკრავია.
ელიან როდის ჩაივლის
მოხუცი სპეტაკ წვერება,
ზოგ-ზოგს მოსწყინდა ლოდინი
თვალების გამოშტერება.
დუდუნებს მისთვის რაღაცას
ტუჩები დაებერება,
უნდა წავიდეს, მაგრამ
ფეხები გაეჩერება.
აი, გამოჩნდა მგოსანი
და ეტლის ლურჯა ცხენები,
სასიქადულო გრძნობათა
ყალყზედან შემაყენები.
აჟრიამულდენ, შეერთდენ
მოხუცთ და ყრმათა ენები...
გაცოცხლდა იგი მიდამო
ხალხითა დანამშვენები.
მატულობს ღელვა გრძნობათა
იკარგვის ბრძენთა ბრძენობა
და შეხეთ, ხალხმა უეცრად
ისურვა მგოსნის ცხენობა,
გამოხსნეს ბედაურები
თითონ გასწიეს ღვედები
აცრემლდენ ამის მნახველნი
ქალწულები და დედები...
კოზლაზე მჯდომი ეშმაკი
სიამით გადაჰყურებდა
და „ეშმაკისა მათრახით“
ბედაურთ შეახურებდა.
ხან ერთს გაჰკრავდის, ხან სხვასა
აუწვავს ზურგის კანებსა
და ბედაურთა კრებული
ეტლს სწრაფად მიაქანებსა.
ბედნიერია ქალაქი!!!
მსგავსი ჯერ არა ნახულა...
ახალგაზრდობა ეტლებში
ჯერ ჩვენში არსად გაბმულა.

კი.

გურული სცენა.

(სცენა სწარმოებს გაკირულ ხიდესთან)

ორი ქალის შეხვედრა.

II.

— დილა მშვიდობის კესა, რომელმა ქარმა მოიქროლა ნეტაი დღეს? ყოლიფერი კაი დეინახა შენმა ლამაზმა თვალებმა—გინდა ნენაი გამოცხლებოდეს სწორეფ ისე გამეხარდა შენი ნახვა..

— ღმერთმა მიოცხლოს შენი ჭირიმე შენი თავი, შენ, შენ ხარ შე ქალო და ახლა მე აღარ მკითხავ რაფერი მიამა—გინდა მიდღემჩი არეკაცი მომკტენოდეს—წელიწადია სწორეფ მერე ნამდვილი წელიწადი აქანაი ამ ვაკირულის ხიდეზე რომ შეგხთი—შენი დაშაქრული მოქარგული ენით რომ მემუსაიფე.

— სხვაი რაფერ ხარ შე ქალო, ახალი ამბავი რა იცი?

— ყპას ნუ მიქცევ ჩემი დაიი, ახალ ანბავს რაცხას შენ თუ მეტყვი, თვარა მე რას შევიტყოფ შენი ჭირიმე; ჩემი ზღიპარტლების გადამკიდე, ყოველთვინ ნაცარში ვაგდივარ...მე რა უნდა ვიცოდე, აგი კია რომ წრეულს ჩვენში ნამეტარი თავის კვლაი იყო, ზოგმა მისით ჩამეირჩო თავი და ზოგი ძალითაი დაარჩვეს.

— რას ჩივი შე ქალო რავა დაარჩვეს?

— აფერს არ გავს დაია ახლანდელი ახუნტრუცებული ქალიშვილების ანბავი, იგინიზა ღმერთი აღარაა, სინდისი არ ეკითხებინ და ნამუსი, უცოდველი ცის ქვეშ არეკაცია, კახპობა უწინაც კი იყო მარა ამფერი დაცოდვილებული ჯერ აფერი გუუგონია ჩემ ყურს—დაი იყურებს ჩემი ულრისი—უწინდელ დროში ციცაი თუ მეიჭრიდა თავს და დაორსულდებოდა, ბაღანას ვინცხა უშვილო კაცს ჩუუგდებდა ეზოში და ახლა დედავ, დედავ! ამას რას მივესწარი ქვეყანა გადაბრუნდებაა მგონია!?

— რავა რა იყო შე ქალო, მე კი დამაჭლექე და?

— ნეტაი მეც არ გამეგონა შენი ჭირიმე და ორივე ყური დამფსებოდა?.. იმისთანაი ახალ-დაბადებული ბაღანაი ნახეს ღელეში ჩაგდებული, რომ ანგელოზი იყო, სწორეფ ავთვალს არ ენახებოდა.

— ცხენის ძუაზე უნდა გამუაბა მაგის მჭნელი, ალაიაში უნდა გაარონიო, იმ ხვთის პირიდან გადავარდნილს, გაკეთება თვარ ცხვენოდა. მერე რეიზა არ მუუარა.

— არა, რას გეტყვი იცი, ჩემი აზრით და მოკლე ჭკუით მე ასე ვიტყვი და შენ რას იტყვი არ ვიცი, რავაც ბუშის დამრჩობია დასარჩობი ისე ყველაი იგინი ვინც მაგი ამბავი იცოდა და ხელს აფარებდა.

— გენაცვალე ყიაში, მოგიწერე ხელი, მეც მაგას არ ვჩიკი—მაგი საქმე ბებია ქალსაც კი ეცოდინებოდა და დედამისაც, დედახვთისა გუუწყრა იმას და მამა ზეცირი... ვერ ნახეს, შე ქალო, ვინ იყო ქალის პირის წამხდენი და მომჯაყველი?

— ვის ნახავდენ შენ გენაცვალე—იმფერი დროია რომ ხალხის ბატონობა აღარაა და პოლიცია ერთი თუ გააძღე შენია...

— ყორიფელი კაი გაგახსენდა, რაფერაა ეხლა პოლიციის საქმე?

— რაფერ უნდა იყოს, ეკლის მონაჭარზე რომ ეკალი ამუა თვარა, ძველი ეკალი ყველაი ამუარდა მისით—წყალის შეროხვილს წყალი წეიღებს, ქათაჰმა ჩხრიკა ჩხრიკაო თავის დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო სწორეფ რომ ისე დიემართენ.

— რავა, ჩუუვარდენ კობზი ნაცარში?

— ნაცარში რომელია, ნაცარ შიკი იყაბულებდენ, შენ ნუ მომიკტე, მარა ტალახში ჩუუარდენ—მომრევის მომრევი გამეუჩნდენ?

— კი გადამაღირსე და თვარ მეტყოდი რეიზა დეიწყე ბეჩა.!?

— რა გაჩქარებს ნეტაი, ერთი წელიწადია ერთქამეთი არ გვინახავს...

— შენ რა გიჭირს ბეჩა ღმერთმა გაჩუქოს და გიპედნიეროს ორი რძალი გყავს შინ, ყორიფელს ხაზირს დაგახვიდრებენ, მე ვიკითხო რომ თმის სისკე საქმე მაქ.

— რძლები კი მყავს, ძვირს ვერ ვიტყვი, მარა თვარ მივხედე მაინც ვერ ვენდობი... ხო და იმას მოგახსენებდი ხომ იცი ტომბაჩევი აქედან ადესის ქალაქში გადიყვანეს, გურია ქე მომოდულდა იქინეი უყიაო, წევიდა მარა მარტუა ხომ არ წევიდოდა—მონადირე რომ საინადიროთ წავა ძაღლებს თან წეიყვანს, წეიყვანა ლანჩხუთის პრისთავი მიქიაშვილი, კოწიეი ბერიძე, მასიკო ღლონტი, შალიკაშვილი, ვინცხა ერთი ზემოური კნიაზი, სირიეი სულ აყეფებულიც კი წაყვა, მარა ადრე დაბრუნდა, წევიდენ ბატონო, თუ არა გურიამ კი მეისვენა პაწეი მარა მივიდენ იქინეი და გუუსვეს ხელი—გურიაში რომ უჯოხოთ იარებოდენ ისე ეგონენ იქინეიც მარა ჩიჩი, წუუხდენ იორდამი, იქინეი ქე წამწარდენ ხუნტრუცი—იი ქალაქი თურმე ოზურგეთზე დიდი ყოფილა, აშლილა დესეტნიკები და აფიცრები და დესეტნიკებს ქე მუუკლავს აფიცრები—ტამბაჩოვს დესეტნიკებიზა ნაკაზანიის მაგიერ ყველაიზა პრისტაობა მუუცია. აგი წყენია პეტრებუხში რომ თავი და თავი მინისტრია იმას და შამუუთლია ტელეგრამით ავსტაქა შემეიტანეო. რავაც აგი მუუღია ტამბაჩოვს იმ დღესვე ავათ გამხდარა და ქე წევს თურმე ლოგინში.

— არამც ააყენა ჩემმა სალოცავმა—მერე, მერე...

— მერე შე ქალო გამუუგზავნიან თავი და ოავი რევიზორი—ჩამოსულა იგი

უძიებია, უძიებია საქმე და მიქიაშვილიც ქე ჩუუჯენია ნაობახში.

— შენმა ყურმა გეიგონა ყორიფელი კაი, იგი რეიზა ნეტაი!?

— იმიზა ბეჩა, რომე გაღლეტილი რომ იყო, იგი აქედანაც არ იყო გასაშობი, ვინ უქნა კრიტიკა თვარა აქანაიც ბევრი შეჭამა სახელმწიფო ფულები, იქინეი თურმე ამხელა ქალაქში რაც შემოსავალი იყო ყველაი თითონ შეჭამა თურმე!

ლანჩხუთში რომ კახპები ხავდა იგინი თუ წეიყვანა ნეტაი.

— რას ყაშმიერობ ნეტაი აა?! იგინით ბეჩა აქანაი იჯერა გული თვარა რუსეთში ქალის მეტი რა იშონება. ამ აბდლებმა ტყულათაი გეიჯახირეს თავი? ასთეა ახლა საქე. ამფერი საჯაყი საქმე დიემართენ—ჭკვიანი კაცის ნათქვამია; ყველახის ძირში უკაცრავათ მოხსენებაა . . . . . , ამ უბედურებსაც ისე დიემართენ, ახლა არსად დასაჯდომი არ აქვენ, ხალხი მაგინს ემდურის და მთავრობა ნაობახში აჯენს.

— მაგი მაგია, შენ ნახავ თუ მაგფერი საქმე არ დიემართონ ფშიონებსაც.

— ერთი ნეტაი ძველი დროი მობრუნდებოდეს თვარა მაგინის სეირს ნახავ—ვაი სულო და გულო, წყალი რომ გადაგიწურავს ისე თებზივით რომ დიეყრებიან ჭერეხზე ყველაი.

— ნეტაი იმ დროს შეძასწრა შენი კარგათ ყოფნით და ერთი დღის სიცოცხლე მომცა მეტი არა.

— მეიცა ოჯო პაწეი და მაგის ასვარია დასვარიასაც ვნახავთ. ხო დასტურ ერთი ახალი ამბავი კიდევ მაქ შენდა სათხრობი... ხულიგნებს უჩივლია პირდაპირ ხელმწიფესთან—კანკასიის ნამესტნიკი დაბერდა, სასტიკ რუპესტრიას არ ხმარობს რედაქციას არ უდგება, გამოცვალეთ და იმფერი კაცი გაგზანეთ ნამესტნიკათ პირდაპირ უწვავ-უხარშავათ კაცებს ჭამდესო. ხემწიფეს აგი საჩივარი დუმიზა გადუცია, იქინეი უთქვამენ დეპუტანტებს აგი ყველაფერი ტყუილიაო და მერე ნამესტნიკს ხემწიფიდგან პირდაპირ მადლობა მიუღია.

— აცოცხლა ღმერთმა...დასტურ ცოცხლითაი კაცის მჭამელი ხომ არ უნდოდენ აა! ისე რავა დაწვა არ დაგვაკლეს და დადაგვა, ციხე და ციმბირი, დახჩობა და დახვრეტა და მეტი რა უნდოდენ ნეტაი?

— უი ბეჩა იმას ვინ მიხთება რა უნდოდენ—რომ მოგერია ხომ დეინახე, იგინს რა უნდა მაგის ანბავი შორს წაგვიყვანს, ახლა ნამეტარი მწყინობს შენი მოშორება. შენ შეგხდებოდი და ერთ კვირეს არ ვიმუსაიფებდით აგი რავა მეგონა მარა თვალი დუუდგეს მუუცლელობას. მშვიდობით შენი ჭირიმე მშვიდობით მიგაგებოს ღმერთმა და გუნებამ მომავალ შობა-ახალწელიწადს ყოველივე შენი მოკეთით.

— შენი კარგათ ყოფნით შენი ჭირიმე... შენც გაგითენოს ღმერთმა... (რომ მოაცილებს თვალს მერმე თავისთვის)—ამ ხვთისპირიდან გადავარდნილმა, ამ შარახვეტიამ ქვეყნის ანბავი რაფერ იცის! ღმერთო შენ გმადლობ რომ გადურჩი, ჭარ გამიბეჟუა ყური!!? (მიაძახებს ხმა მაღლა) პელაკი! პელაკი! ერიცახე შემიცადე დიდი უკაცრავათ კი ვარ მარა.

— რა იყო შე ქალო რა გაგახსენდა?

— ერთი იგიც მითხარი შენი ენა პირის ჭირიმე, ნიკოკიას და მის ამყოლ-დამყოლს რა უქნეს გეცოდინება, შენი უცოდნელი ხომ აფერია!?

— ნიკოკი საცხა ქვეყნის დასალიერს გადუყვანიან, სხვაი კი პუზუნობს, მარა არც ივინს უგავს სასიკეთოთ.

— ხვთის და თქვენი კარგათ ყოფნით ვერც სხვები შეიტყემლისკვერებენ ქვეყნის ამოგდებას.

პიტნა.

დაუვიწყარი აკორდის ხსოვნას.

(რკინის გზის სახელ. მუშათათვის)

განრისხდა ზესთა მეუფე,
თავზე დამეცა მეხია,
მომიკვდა ჩემი აკორდი,
მომტყდა მარჯვენა ფეხია...
დავსტირი, მწარეთ დავსტირი
წარსულ დღეს აკორდოვანსა,
ვითა ბულბული ზაფხულში
ტურფა ბაღს ყვავილოვანსა.
ის იყო ჩემი მარჯვენა,
საღმერთებ, გამლაღებელი,
მინასას ბაღში მუდამ დღე
სუფრისა დამლაგებელი.
ის იყო კარტის გამშლელი,
დომინო, კამთელისა,
უკვდავებისა მალამო,
რეკეპტი გომართელისა.
გიჟუას არდნის მოყვარე,
ალექსას სამიკიტნოსი,
გრიშუას ბაღის მწვანეზე
ტკბილი ხმა დიპლიპიტოსი...
რომელი ერთი მოვთვალო,
ძვირფასო, დაუვიწყარო,
მოკვდი და ლამის დარდისგან.
თვალები გამოვითხარო.
მხოლოდ ისა მაქვს ნუგეშათ,
„რომ არ მომკვდარხარ, გძინავსა,
და კვალად გიმოიღვიძებ“,
საქმეს იქმ დასალხინავსა.

ზაგლობა.

ეგვეგი

(რუსულიდან)

ერთხელ ერთი დედალი და კვერცხი შელაპარაკდენ.

კვერცხმა უთხრა დედალს:

— წესითა და რიგით შენ ჩემი შექმნილი ხარ; უნდა დაიჯერო, რომ ჯერ კვერცხი გაჩნდა და შემდეგ, მხოლოდ შემდეგ გამოიჩეკა ქათამი.

— აი სისულელე სწორეთ ეგ არის! მიუგო დედალმა. არა ერთი ის მიბრძანე, კვერცხი ხომ დედალის შექმნილია?

— კარგი მაგრამ წიწილები ხომ კვერცხებიდან იჩეკებიან?

— ნუ ჯიუტობ, თუ ღმერთი გწამს, რაც მართალია, მართალია, ჯერ ქათამი იყო და შემდეგ კვერცხი გაჩნდა.

— დიახაც არა, ჯერ კვერცხი იყო და მერე ქათამი გამოიჩეკა!

კამათი დიდხანს გაგრძელდა.

მიმართეს მამლაყინწას, რომელიც ჭკუაბარაქიანობით განთქმული იყო, მთელს ქათმებში.

— თქვენი კამათი ნამდვილ სასაცილოა, მიუგო მამლაყინწამ. რა თქმა უნდა ქათმები კვერცხებიდან ჩნდებიან და კვერცხები ქათმებისგან, მაგრამ კვერცხებიცა და ქათმებიც ერთად მამლის შემოქმედებაა და სხვა არაფერი.

მოკამათებს გულიანათ გაეცინათ.

— კარგი ბ-ნო მამლაყინწავ, მაგრამ მამლებიც ხომ კვერცხებიდან ჩნდებიან და კვერცხები კი დედლებისაგან, მიუგო ქათამმა.

კამათი გაურკვეველი დარჩა.

—

უნებლიეთ გაგახსენდება ჩვენი მესამე დუმის მსჯელობა და არ იცი: ჯერ რეფორმები იქნება და შემდეგ დამშვიდება, თუ ჯერ დამშვიდება და შემდეგ რეფორმები.

† არჩილ ჯაფარიძის ხსოვნას.

დამწვარზე ცეცხლი განა საჭიროა?! განა ჩვენს გამწარებულ ყოფას კიდევ მწუხარება ეპივრება?! მაგრამ არა, შურის ძიების ღმერთი ხარბათ დასცინის ჩვენს დამარცხებას! ჯოჯოხეთში სიხარულია! ყოველი დღე, ყოველი საათი, თითქმის ყოველი წამიც ახალ-ახალ შხამიან ისარს ასობს ისედაც დაკოდილ-დამწუხრებულ გულს, მწარე ფიქრების ცეცხლში სწვავს ჩვენს გონებას და დაუნდობელის სიურცხვით თელავს ჩვენს გრძნობებს. ციხე-ციმბირი, კატორღა-გადასახლება და თვით სიკვდილი, მწარე სიკვდილი, ოდნავაც აღარ აღელვებს ჩვენს დაჩლუნგებულ გრძნობას, ცრემლით არ ასველებს ჩვენს გამშრალ თვალებს. ასე ფიქრობს, ასე იწვის და იმდუღრება დღეს თითქმის ყველა, ვინც მცირე რამეს მაინც გამოელოდა განვლილი სახალხო მოძრაობისაგან, ვინც გულით ატარებდა მას, ვინც ძუძუს აწოვებდა და უალერსებდა მას.

დღეს კვლავ დაესო ჩვენს გულს ბასრი მახვილი; მახვილი, რომლის სიმწვავემ, რომლის უღმობელობამ გაადნო ჩვენი გულგრილობა, სძლია ჩვენს მიჩლუნგებულ გრძნობათა სიჯიუტეს და ცრემლით დაალბო გამშრალი თვალები.

„მეორე დუმის დეპუტატმა არჩილ ჯაფარიძემ სატუსაღო ვაგონში სამუდამოთ დახუჭა თვალები.“ გვამცნო დეპეშამ ჩრდილოეთიდან. ტკბილი იმედებითა და სიხარულით გაცილებული ახალგაზრდა, გაცივებულ გვამად დაუბრუნდა ძვირფას საშობლოს. ახალგაზრდა, ცოდნითა და

შაერაზმიანი.

(პატარა პოემა)

თავი I.

„ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვარსკვლავები“,
ვინ შეამკოს ღირსეულად
სათათბიროს სვავ-ყვავები!
ვინ მოგვითხრას მათი საქმე
შავ-რაზმულნი, სასირცხონი
და ან მათზე გადმოსული
არაყი და ღორის-ქონი.
ვინ დახატოს მათი სახე,
ან ინსტიქტი მტაცებლური,
მათი კაცი ქამიობა
და იმათი ზნე ვულური.
ჯოჯოხეთის მოციქულსაც
მიკანკალებს, მიკრთის ხელი,
ვფიქრობ: „ვაჰ, თუ აგი საქმე
ღირსეულათ ვერ შევძელი!
ვაჰ თუ კარგათ ვერ შევამკე
მე იმათი საქმე ბნელი,
და ეუსუსურ კალმოსანი
გავხდი ქვეყნის საცინელი.

თავი II.

ერთხელ თურმე პურიშკევიჩს
ჰქონდა დიდი წვეულება,
(სათათბიროს შავ-რაზმელებს
ჰქონიათ ეს ჩვეულება!)
მემარჯვნეთა ორატორებს
მოეყარათ თავი ყველას
მღეროდენ და გაჰკიოდენ
საკუთარ ჰიმნს—„სახრჩობელას“?
აქ ნახავდით: ოქტომბრისტებს,
თათრებსა და ტურფა კოლოს,
(თუმც ისინი დარცხვენილნი
დამსხდარიყვენ სუფრის ბოლოს)
აქ ნახავდით ხუცუკებსაც
და თვით დუმის თავმჯდომარეს,
საუცხოვო წვეულებით
მადლიერს, პირ-მომღიმარეს.
მღმარცხნეებს გალანძღვიდენ
როგორც ავ-სენს, როგორც
ჭირსა
თანაც ვახშამის მოლოდინი
აუვსებდათ ნერწყვით პირსა.
პურიშკევიჩს დააკისრეს,
რომ დაეცო რიგი, წესი...
(და მართლაც რომ შევარცხვინე
არჩევანი უკეთესი!)

მან „სვისტოკი“ მოი მარჯვა
მოხდენილათ, ჯამბაზურათ
და სტუმრებმა ჰანგი ტკბილი
ისმინეს და იღეს ყურათ...
შემდეგ გრძნობა მორეულმა
დაუარა ჩიგორგალი,
მაგრამ ისე ხელოვნურათ
რომ ზედ დარჩა ყველას თვალი.
ამ „საამო ჰარმონიამ“
გაიტაცა თითქმის ყველა
და მესამე დუმის ჯამბაზს
თითონც აჭყვენ ნელა-ნელა.
„სვისტოკს“ ბანი ააყოლეს
ცეკვას ცეკვით უპასუხეს
და ბოხი ხმის ოქტომბრისტი
გუჩკოვიც კი დააქუხეს.

თავი III.

„კამათი“

გაიმართა კამათობა:
ვინ რას იცავს, რას მოითხოვს,
დგება დუმის თავმჯდომარე...
მოკრძალებით სიტყვას ითხოვს,

ხომიაკოვი.

ბატონებო! მომისმინეთ
მსურს მცირე რამ მოგახსენოთ
მემარცხენე . . . . . .

პურიშკევიჩი.

. . . . . მემარცხენე???
გთხოვთ კრებაზე არ ახსენოთ!!!
(უკრავს „სვისტოკს“ გამწარებით,
და ორატორს აჭყვეტინებს,
ურჩობისთვის, დაბალი ხმით
დედასაც კი დაგინებს!)
დღეს აქ მისთვის შევკრებილვართ,
რომ ნერვები დავიწყნაროთ...

ჩელიშოვი.

რომ „პილატეს ცრემლთან“ ერთად
საკუთარი ცრემლიც ვღვაროთ!

დეპ. ტიჰოშკინი.

ამხანაგო პურიშკევიჩ!
გთხოვ მიბოძო სიტყვის ნება,
თორემ თქვენი კამათიდან
ვხედავ არა გამოდნება...
ვიდრე დუმის მემარცხენეებს

გულწრფელობით აღსავსე, თავგანწირული მებრძოლი სახალხო საქმისა, უდროოთ გამოეცალა ამხანაგების გუნდს, მუხანათურად დაეცა ბრძოლის ველზე.

ვინ იყო არჩილი?

არჩილ ჯაფარიძე ერი იმათგანი იყო, ვისაც თავისი არსებობის მიზნათ ‹ხალხის კეთილდღეობისათვის სამსახური დაუსახავთ 1907 წლის თებერვალში თფილისის გუბერნიამ ის აირჩია თავისი ინტერესების დამცველათ მეორე სახელმწიფო დუმაში და რომ ის არ შემცდარა თავის არჩევანში, ამას ამოწმებს გაცოცხლებული გვამი სახალხო გმირისა და თავდადებული მებრძოლის არჩილისა. იმისი გულწრფელი და გრძნობიერი სიტყვები, იმისი დაუშრეტელი ენერგია, უმწიკვლო და ფაქიზი ხასიათი, უზომო სიმამაცე და ლმობიერება მტერსაც კი ქედს ახრევინებდა მის წინაშე. ხან მოკლე დეპუტატობის დროსაც შესაფერი სახელი და პატივისცემა დაიმსახურა განსვენებულმა. ყოველი იმისი სიტყვა გამსჭვალული იყო დრმა რწმენითა და ხალხისადმი თავდავიწყებული სიყვარულით.

მაგრამ ბედის უკუღმა ტრიალმა სხვა მრავალ თავ-განწირულ მებრძოლებთან ერთად, სახალხო თავისუფლების ნაცვლად ციხის ბნელ სანაკში მიუჩინა მას ბინა და დაბოლოს აი სამარის კარამდეც მიიყვანა. მწარე და სავალალოა ყოველი პატიოსანი მუშაკის დაკარგვა, მაგრამ ათას წილ საგრძნობელია არჩილის ასეთი უღვთო სიკვდილი! — — — — — — მუდამ ბნელ სარდაფში და უჩინრად მომუშავე,



არჩილ ლევანის ძე ჯაფარიძე.

ის ერთხელ ამოვიდა გაშლილ ასპარეზზე სადაც წმინდა სანთელივით დიწვა მისი არსება, თავისუფლების მსხვერპლათ შენაწირი.

ვეკვობ იყოს ისეთი შეგნებული ქართველი, რომელსაც ღრმა მწუხარება არ აგრძნობინოს ძვირფასი ახალგაზრდის სიკვდილმა, ვეკვობ იყოს ისეთი ადამიანი, რომელსაც გულწრფელი ცრემლი არ მოსწყვიტოს მისი უდრო სიკვდილის ამაცრემლებელმა პირობებმა:

„არჩილმა კაკის მკლავებზე დახუჭა სამუდამოთ თვალებიო“ გვაცნობებენ ჩრდილოეთის ქალაქიდან!..

ქვა უნდა იყოს გული ადამიანისა, რომ არ გაალბოს ამ სიტყვების მწარ სიცოცხელემ. ოჰ, უკუღმართო ბედის ტრიალო, რამდენი სიმწარე, რამდენი შხამ-ნაღველია ამ პატარა ცნობაში, ამ ექვსიოდ სიტყვაში!

მშვიდობით ძვირფასო ამხანაგო, ღირსეულო მოქალაქევ და სასიქადულო მამულიშვილო! ჩვენ, შენი დაკარგვით გულ მოკლულნი, მხოლოდ იმით-და ვნუგეშობთ, რომ შენი უდროო სიკვდილით, თვით სიკვდილი ითრგუნება. სამშობლო მიწა ტკბილათ ჩაგიკრავს გულში თავის საყვარელ შვილს, მადლიერი ხალხი ცრემლით დაალბობს შენს სამარეს და გულით ატარებს შენს ძვირფას ხსოვნას.

მშვიდობით დაუვიწყარო არჩილ!

„ფანრები“ არ ჩაედგმება
ჩვენი ქვეყნის ბედის ჩარხი
სულ უკუღმა დაბრუნდება.
საჭიროა აქ „ზამაზკა“
საჭიროა აქ პირთხელი,
ხოლო ამათ მოსახმარათ
გამოცდილი მძლავრი ხელი...

ხომიაკოვი
(ადგილიდან).

ვალოდია! გთხოვთ ამიხსნა:
„მემარცხნეთა“ ხსენებაზე
დეპუტატი ტიმოშკინი
რათ არ შეაჩერეთ გზაზე?
ან იქნება კანონები
ჩვენთვის სხვა გაქვთ, თქვენ სხვა
გვარი?

პურიშკევიჩი.

თქვენგან მიკვირს, ხომიაკოვ,
მე მსჯელობა ამა გვარი...
ნუ თუ ეხლა დაგავიწყდათ
რომ ხართ დუმის თავმჯდომარი
და სრულიად უმიზეზოთ
ათასჯერ მიჩვენეთ კარი...

დეპ. ტიმოშკინი.

ბატონებო! სმენა იყოს,
გთხოვთ შესწყვიტოთ ეგ ზლაპარი,
მზარეული მოგახსენებთ
რომ ვახშამი სტოლზე არი...

პურიშკევიჩი.
(სვისტოკს უკრავს და აცხადებს)

ვსპობ კამათს, მით ვხურავ კრებას
თან გისურვებთ მეგობრებო
კარგ მადას ტკბილ გემოვნებას.

თავი IV.

ნადიმი.

შავი კრებულის დარბაზი
სხვა და სხვაფერად კრიალებს
სუფრის თავს, პურიშკევიჩი,
როგორც შამფურზე, ტრიალებს.
ხან კბილებს ააკრაჭუნებს,
ხან სვისტოკს ჩააწკრიალებს
ხან „საიქიოს“ აგზავნის
არაყით სავსე ფიალებს.
შემოაქვთ კერძი კერძზედა...
გამხიარულდა კრებული..
წამოხტა პურიშკევიჩი
სიამით გაცოფებული.
და დაიყვირა: „შეხედეთ!!!
კავკასის მონაკითხი,
არ ჩაატკვიროთ თითი
გემრიელია... უფრთხილდით
აი, შემწვარი ქართველი,
სომეხი მოხარშულიო,
ჩახოხბებული თათარი
ურია მოხრაკულიო,
ჩაცივებული ჩერქეზი
კაბარდოელის მწვადიო
კახური ღვინო და გუდა
მათვე ტყავ განახადიო...
ლეკების დუმა-ხინკალი,
სპარსელთა შილა-ფლავიო
მიირთვით სხვაცა ბევრი გვაქვს
შიმშილის მოსაკლავიო.

განცვიფრდენ ხულიგანები
არ მოელოდენ ამასა
თუმცა არ იყვენ უჩვენი
კარგ სმას და კარგსა ჭამასა.
ჩამოირიგეს ულუფა
ვისაც რა მოეხალისა,
უცებ გაისმა ბოხი ხმა
გუჩკოვის, ძალზე მთვრალისა.
—ძმებო, შეხედეთ ამ ქართველს
შეწვა აკლია სწორეთო,
ფურნეში უნდა შეაგდოთ
უთუოდ ხელ-მეორეთო.
ხომ მომკლავს უმი, უწვავი
ხონჩით რომ მომიგორეთო,
ეგ სისხლი მაინც გაუშრეთ
და ტყავიც მოაშორეთო.
ხომიაკოვმაც დასძახა:
—სომეხს აკლია ხარშვაო,
რა საჭიროა მთელ-მთელი
უნდა დაჭკეპოთ შვა-შვაო.
აქ ჩელიშოვმა იყვირა:
—რას გავს კახური ღვინოო
უნდა რუსულათ დასწუროთ
რომ ჯანი გაადინოო.
ბობრინსკიმ დაიგუგუნა:
—არ მომწონს შილა-ფლავიო
ნუთუ ოსები ვერ ნახეთ
შესაწვავ-დასაკლავიო?!!
ერბოც აკლია.. წაიღეთ
და ღორის ქონში ჩადეთო
ახლა კი, აფხაზებისგან
კუპატი მომიმზადეთო.
შეიქნა დიდი ამბავი
საშინელ სანახაობა
ცეცხლსა დაფრქვევს პირთაგან
ხულიგანური თაობა.
ყვირიან: დანაშაულში
მზარეულს უძევს ბრალიო
რას ქვია, ღმერთო მომკალი,
უნდა დავთბაროთ თვალიო.
ამას მოითბოვს რუსეთის
სჯული და სამართალიო.
აქ უცებ პურიშკევიჩმა
ისკუპა ბაყაყურათა,
შეაჯდა ხომიაკოვსა
და მოეხვია ძმურათა,
დაუწყო ლოშნა, „ალერსი“,
ცრემლებიც ბევრი დაღვარა.
(აქ გავთავდა, თორემ
ქვევით ივარგებს ალარა).

ეშმაკი.

მესტვირული

დრომა შისი მოიტანა,
მომახლია უკვე ქედი
და ალარ ვარ რაც ვიყავი
შე დღეს იმის მეათედი.
სანეტარო ტკბილ ოცნება,
სიჭაბუკის განაჭედი,
დრომ წაიღო და ჩაყლაპა...
ძალათ ხომ ვერ დავიჭერდი!
(კანონია ეს ბუნების,—
სხვა ხანაში გადავედი).
ბევრჯელ შემხვდა გესლიანი
ენა მწარე, ენა ყბედი,
შინ და გარეთ ულმობელი
ნაღველ შხამი ზედიზედი,
მეგობრისგან ჭახრაკული
ხრიკ ფანდები და მოგვერდი,
მუქარა და მუჯლუგუნი
ბრიყვებისა ნათავხედი.....
(სინჯეთ ერთი როგორია
მიუშვირეთ მუშტებს გვერდი!)
და ბოლო დროს გულმაც იგრძნო,
რომ მოვხუცდი და ჩავბერდი,
მარა მაინც შემრჩენია
სანუგეშო მე იმედი,—
ჩემი გუდა, ჩემი სტვირი,
საგანგებოთ შენაჭედი;
იგი მოგრძოთ მიკავია,
სიბერემდის შევინერდი
და ვამღერებ ისე, როგორც
ვღიღინობდი და ვამღერდი
(დაჩუმება რომ მდომოდა
ამ სტვირს ალარ გავაღერდი.)
თუ რომ ვისმეს წინ უძღოდა
საქმე სულის წასაწყმენდი
და მოადგა ძველი ცოდვის
ანგარიშ გასაწმენდი,
დღეს ის ჯავრობს, მირისხდება
და ენთება ვით აბედი,
რადგან გამოხოხორიკდა
მათი ნაშრომ-ნამოქმედი.
მარა ვისი რა ბრალია,
თუ არ სწყალობს მტყუანს ბედი!
ალაბი და სასწორია
ცოდვა-მადლის გადამწყვეტი,—
და მტყუანმაც სწიოს უნდა,
თვისი ცოდვის ჭაპან-ღვედი,
(რიგია და სამართალი,
წაწყდეს უნდა წასაწყმენდი).

ბლიკვაძე.

ქეღეხი

(სხვა და სხვა სასმელ-საჭმელებით სავსე სუფრას გარს უსხედან პურიშკევიჩი, „ვალიაი-მარკოვი“, შულგინი, კელეპოკსკი, იუდუშკა-მენშიკოვი და ძმანი მათნი. მეტის მეტი სმისაგან სახე დაბერილი აქვთ და სისხლივით ჩაწითლებული თვალები გადმოუკარკლავთ. დემონურად ხარხარებენ. „ვალიაი-მარკოვი“ წამოდგება).

ვალიაი-მარკოვი— ბატონებო! მართალია დაჩვეული ვართ უთავბოლოთ ლაპარაკს და სკანდალებს, მაგრამ ეს მხოლოთ მაშინ, როცა კრამოლნიკ ოქტომბრისტებსა და კადეტებთან გვაქვს საქმე, აქ ხომ ყველა ჩვენები ვართ. მაშ საჭიროა თამადის არჩევა და წეს-რიგის დაცვა (ყველანი ურას იძახიან და ტაშს უკრავენ.)

პურიშკ.—(ხელი ჯიბისკენ მიაქვს „სვისტოკის“ ამოსაღებათ) დაწყნარდით! თამადათ „ვალიაი-მარკოვს“ ვასახელებ!(თავს შეიკავებს და სვისტოკს ალარ ამოიღებს)

ყველანი—(ერთათ ღრიალებენ) „ვალიაი-მარკოვ! ვალიაი—მარკოვ!

ვალიაი-მარკოვი—(წამოდგება და თავს უკრავს ყველას) გმადლობთ! (აიღებს ღვინით სავსე სტაქანს) პირველათ, ძმებო და ამხანაგებო, გაუმარჯოს ჩვენ დუმას! იმ დუმას, სადაც ხმა ჩვენი მქუხარე გაისმის კიდით კიდემდე, სადაც ჩვენი ძლევამოსილი არმია ისე გრძნობს თავს, როგორც კრუხი თავის ბუდეში.

ყველანი—გაუმარჯოს ჩვენ დუმას! გაუმარჯოს პურიშკევიჩის სვისტოკს.

პურიშკ.—(სიმორცხვის გამო ცოტა სახეზე წამოწითლდება) გმადლობთ, ბატონებო, ასეთი ყურადღებისთვის. უნდა მოგახსენოთ, რომ მე მუდამ მზათ ვარ რუსეთის ხალხის სასამსახუროთ. უნდა მოგახსენოთ, რომ მარტო სიტყვა არ კმარა კრამოლნიკებთან საბრძოლველათ. მე მუდამ სხვა და სხვა „ინსტრუმენტებით“ შეიარაღებული მოვდივარ ხოლმე დუმაში, წინათ მარტო „სვისტოკი“ წამოვიღე. ეს საჭირო იყო, რადგან ხომიაკოვი რბილი კაცია და თან კიდეც გაგვისოციალისტდა, საჭირო იყო დამხმარებელი ეხლა კი „სვისტოკს“ გარდა თან ვატარებ „იერიქონის საყვირს“ ,,შამფურს‘‘ და სხვა.

შულგინი—(შეხტება სუფრაზე და ტაშს უკრავს) ბრავო! ბრავო! გაუმარჯოს პურიშკევიჩს.

კელეპოვსკი—(წამოდგება) ბატონებო! ეს კითხვა 9 ნოემბრის კანონის, ან ამურის რკინის გზის საკითხი არ არის რომ ასე მივიღოთ, საჭიროა ბ-ნმა პურიშკევიჩმა აგვიხსნას მისი „ინსტრუმენტების“ მნიშვნელობა და დანიშნულება (ყველანი დაეთანხმებიან).

პურიშკევიჩი—მოგახსენებთ. იერიქონის საყვირის წამოღება საჭიროთ დავინახე კავკასიის შესახებ შეკითხვის განხილვის დროს, მე მინდოდა თავზარი დამეცა ყველასთვის, გონება დამებნია და მოვახერხე კიდეც

ყველანი—ბრავო! ბრავო! გაუმარჯოს პურიშკევიჩს და მის „იერიქონის საყვირს“

იუდუშკა-მენშიკოვი (საზარლათ ხითხითებს) ხი! ხი! ხი! ხი! ბრავო, ბრავო! შენ „საყვირთან‘‘ ჩემი შხამიანი კალამიც აწრიპინდა. მეც ვიღწვი სამშომლოს საკეთილდღეოთ.

ყველანი—გაუმარჯოს იუდუშკა-მენშიკოვს და მის შხამიან კალამს. (იუდუშკა მდაბლათ თავს უკრავს. ყველანი ღრია-

ლებენ. პურიშკევიჩი სუფრაზე შეხტება და რაც ძალი და ღონე აქვს „სვისტოკს“ უკრავს. დაჩუმდებიან).

პურიშკევიჩი—ბატონებო! წეს რიგი! წეს რიგი! სიტყვა მე მეკუთვნის. ეხლა აგიხსნით „შამფურის“ მნიშვნელობას.

ყველანი—გთხოვთ, გთხოვთ!

პურიშკევიჩი—შამფური კარლოს დასაფრთხობათ მაქვს. დაიწყებს სიტყვას თუ არა საკმარისია შამფური დავანახო და მწვადი მოვაგონო, რომ ბრაზი მოსდის და დავთარი ებნევა.

ყველანი. ბრავო! ბრავო!

პურიშკევ.—ბატონებო! ჩვენი ვალია ყველა კრამოლნიკებს ამოვაკვეთინოთ ფეხი ჩვენი დუმიდან. (სვისტოკს უკრავს, გაირბენს სუფრაზე, შეახტება ვალიაი-მარკოვს და გადაეხვევა).

ვალიაი-მარკოვი.—მეორე სადღეგრძელო, ბატონებო, გაუმარჯოს ჩვენი დიდებული პურიშკევიჩის მძლავრ სიტყვას, მის ,,სვისტოკს'' ,,იერიქონის საყვირს'' და ,,შამფურს'', იმ შამფურს, რომლის წყალობითაც კავკასიის შესახებ შეკითხვას ჩვენდა სასურველად გადაწყვეტას ხელი შეუწყო.

ყველანი. გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

პურიშკევიჩი.—ბატონებო! ჩემი აზრით მარტო შეკითხვა არას გვიშველის, საჭიროა კავკასია ჩავნთქათ, ჩავყლაპოთ, თავის ადმინისტრაციით, რომ სეპარატიზმს ბოლო მოუღოთ.

ყვ_ლანი.—მართალია! მართალი!

პურიშკევიჩი.—მაშ, ბატონებო, გაუმარჯოს ჩვენ ძლიერ იერიშს.

ყველანი.—გაუმარჯოს!

იუდუშკა-მენშიკოვი.—(ჩახრინწიანებული ხმით) ბატონებო, მცირე შესწორება, პროვოკაცია, ინსინუაციები, შეამგესლოთ სავსე წერილები კავკასიის შესახებ ჩემ კისერზე იყოს. (ხელს დაირტყამს კისერზე).

ყველანი.—ბრავო! ბრავო!

პურიშკევიჩი.—ბატონებო! ერთი წინადადება. თუ მომავალში ჩემი ,,ინსტრუმენტები''-თ ვერას გავხდეთ დუმაში, წინადადება შემომაქვს ყველამ ქვები და ჯოხები მოვიმზადოთ. ერთი მძლავრი იერიში და დუმა ჩვენ ხელთ იქნება.

ვალიაი-მარკოვი.—ჭეშმარიტია!

იუდუშკა-მენშიკოვი.—მართალია.

შულგინი.—აუცილებელია.

ვალიაი-მარკოვი.—მაშ, ძმებო, დავლიოთ, ვიმხიარულოთ.

ყველანი.—დავლიოთ! დავლიოთ! (სვამენ. პურიშკევიჩი წამოხტება და საყვირს უკრავს, იუდუშკა—მენშიკოვი დავლურს უვლის, დანარჩენები საზარლად ხარხარებენ).

—ლი

ალილო.

სტვირს უკუ ვაგდებ... შობა დღეს
არა მსურს მისი ტარება,
მსურს მხოლოდ წმინდა „ალილოს“
ჩაღიღინ-ჩანარნარება.
ბან-მოძახილიც თან მახლავს,
ჩემთანვე მოემგზავრება,
ერთად დაუვლით ქალაქებს,
ჩვენ ეს არ დაგვეზარება.
თან მიგვაქვს თითო მათრახიც,
(ეშმაკისაა ბრძანება!)
კარგათ იციან იმისი
წაღმა-უკუღმა ხმარება,
ისეთ „ალილოს“ დავსძახებთ
მკვდარსაც კი გაეხარება,
მთისა და ბრისას მოვყვები
თუ შევძლეთ მათი დარება.
ზოგიერთს ტკბილათ მიუვა,
მაგრამ ზოგს ჩაემწარება,
გთხოვთ სმენა დაამახვილოთ
და უკუაგდოთ მოქნარება...
ალილო, ქრისტე-შობასა
ყველას გილოცავთ დღესაო,
მივაწევთ კიდევ თუ არა,
აბა, ვინ იცის ესაო.
ყველა აკენკა ყორანმა
რაც კი ერთობამ სთესაო,
გახშირდა მოთქმა-გოდება,
ყველგან მოისმის კვნესაო.
ძმობა-ერთობას თესავდენ,
ცრემლი კი მოიმკესაო.
შეხედეთ დუმას მესამეს,
სამიკიტნოა სხვა რაო,
დეპუტატებმა იციან
მარტო „სვისტოკის“ ხმარაო.
მათი ნაწერი კანონი
ღმერთმა მათ მოახმარაო,
გაგვიბატონა პირწმინდათ
შავ-რაზმელების ფარაო.
იმათი აზრით, დახვრეტა
სასჯელათ არა კმარაო.
„კონსტიტუცია“,—თქვენც ხედავთ,
საითღაც გაგვეპარაო.
ალბათ რუსეთმა ოსმალეთს
გადასცა ჩააბარაო...
აკაკის იუბილეი
გაგრძელდა ნამეტარიო,
რადგან იოლათ უჯდებათ
მისალოც საჩუქარიო.
მწვანე ტოტები, ჩვენს ბედათ
ყოველგან უხვათ არიო,
დადის მოხუცი სთფლებში,
თუმც საზამთროა დარიო,
ყოველი მხრიდან სისინებს
საბედისწერო ქარიო,
გაჭყინა ჩვენი ცხოვრება,
ნიშანიც აღარ არიო.
დღე არ გაივლის ისეთი,
გულს არ გაეელოს ძმარიო,
სიტყვებიც ბევრი გაგვიხდა
უქმი და მოუხმარიო.
აი ალილო, ალილო,
გილოცავთ შობა დღესაო,
ღმერთმა გაშოროს გუნიას,
ტოლსტოის გამქურდველსაო,
ხელოვნებისა ტაძარში,
რომ აფათურებს ხელსაო,
ნურც შეგახვედროს ვაგლახად
მის პირში ხეობელსაო,
ნურც „იუბილეს“ აზავერს
ვარდენა ღვინკითელსაო,
შეთურბასავით რო დარბის,
აქნევს თავსა და ხელსაო.
გარიდოს ვასილ ხუნდაძეს,
ოზურგეთის თავს ძველსაო,
არხი ღენერალ დუმბაძეს
და მის ძმა დავით ღვდელსაო.
ნიკოკი თაყაიშვილსა,
ჭკუა მოკლ, ტანათ გძელსაო,
გარიდოთ ღმერთმა აგრეთვე
დიმიტრი მგელაძესაო,
იაშა მიქიაშვილსა
და კოტე ბერიძესაო,
დრო არ მაქვს, თორემ ამგვარებს
ჩამოგითვლიდით ბევრსაო.
აი ალილო, ალილო,
მსურს ქუთაისის ქებაო,
ახალგაზდობა კარგი ყავს,
(აკაკის ეტლში ებაო,)
შემწვარი პატრიოტები
ყველა იქ გამოცხვებაო,
თუ კი საბჭომ და უპრავამ
ქანქრებით გამოკვებაო.
ალილო, აი ალილო,
ბათუმსაც მივუმღეროთო,
ზოგიერთ მოღვაწეებსა
მათრახი მოუღეროთო.
იქნებ ამ ხერხით, როგორმე
დავტუქსოთ, გავაჩეროთო
და სტრაჟნიკები ქალაქში
არ ვამრალ-გავაბეეროთო.
ფოთსაც მივხედოთ, იქიდან
ზღვა გადავცუროთ ნავითა,
ვნახოთ ეს ქონდრის ქალაქი
მხნე, ბუმბერაზი თავითა,
საბაჟო გადასახადით
ზურგზე დაღ დანაკრავითა.
ავიდეთ სამტრედიაში,
ალილო ჩავიგალობოთ,
ვისაც სპეროდეს მათრახი,

სულყველას გაუწყალობოთ;
ზევრს კალანდისთვის შევპირდეთ.
ცოტა ვაკმაროთ საზობოთ.
ხონში და ონში ნუ გვინდა,
სწორი გზა გაგველუნება,
ზესტაფონ-ქიათურისკენ
მიმიწევს ჩემი გუნება,
მისალოცავი ამ კუთხეს
არავინ ეხრაგუნება,
სამაგიეროთ ზევრს უნდა
მათრახის კუდის ცხუნება.
ალილო, ქრისტე-შობასა,
ჩავუდილინებ ხაშურსა,
ხურამი განზე დამრჩება,
აღარ მივაქცევ მას ყურსა;
გორის ქალაქის მამებსა
მაგრათ ამოვკრავ პანჩურსა,
და ამით შევწყვეტ ალილოს,
დაბა-სოფლებში ჩანჩურსა.

ბენუკა.

ურწმუნო თომა.

— „განახლებულ“ ქართულ თეატრში იყავი?

— ვიყავი.

— „სამშობლო“ ნახე?

— ვნახე.

— „გაუმარჯოს საქართველოს“ გაიგონე?

— გავიგონე.

— ლევან ხიმშიაშვილი ნახე?

— ვნახე.

— ხომ კარგი იყო?

— ისეთი იყო, რომ მის ლაპარაკზე „ტანში მომივიდა ჟრჟოლა და ძილი“.

— როგორ თუ ძილი? რას ამბობ?

— დიახ ძილი, თუ გამოგიცდია სოფლის საყდარში, რომ დიაკონი დაიწყებს ერთხმაზე კითხვას, ერთგვარათ აცმაცუნებს ტუჩებს, მისი სამგლოვიარო ხმა ჰიპნოტიზივით მოქმედებს მთელ სხეულზე, ტანში ჟრუანტელი გივლის, გული გიწყალდება და ჩამოგეყვინთება, სწორეთ ისე მომივიდა ლევანის თამაშის დროს.

— ძალიანს კი აქებდენ, ბიჭო და რა ღმერთი გაუწყრა? ამბობენ კაი ტლიკვ 150 მანეთსაც კი აძლევენ თვეშიო?

— „გამოწერილი“ არის და იმიტომ აძლევენ მაგდენს. აქებდენ და ჯერ კიდევ აქებენ იქნება გამოდგესო. ღმერთმა ქნას.

— „დაწუნებული“ ყიფიანი როგორი იყო?

— თუ ის არა, შენი მტერია ჩვენ „სამშობლოს“ დღე დაადგებოდა.

— ვერ დაგიჯერებ, ჩემო ძმავ, შენ ისე ლაპარაკობ, რომ სულაც არ ყოფილხარ მგონი თეატრში.

— ვიყავი და კიდეც იმიტომ ვლაპარაკობ.

— თეატრი როგორ მოგეწონა?

— არა უშავს.

— როგორ თუ არა უშავს?! ეხლა კი დავრწმუნდი, რომ არ ყოფილხარ თეატრში.

— ვიყავი.

— არ ყოფილხარ.

— არ გჯერა? დაგიმტკიცო? აჰა! (უცბათ შემობრუნდება და ზურგს უჩვენებს. ზურგი მეთორმე რაჰველივით გასვრილი აქვს, თითქო ოცი საპალნე ფქვილი გადაუზიდავსო).

— ააა! მჯერა, მჯერა.

წრიპ.

შაჰის მოღვაწეობა.

ვერავინ მნახავს ფხიზელსა
ტოლუმბაში ვარ ქებული,
მარად-ჟამს სამიკიტნოში
ფეხ მოკეცილათ გდებული!..
მადლი მეუფეს! ქანქარი
ყოველგზით მომედინება!
სული? ეშმაკსაც წაეღოს,
თუ კი აქ დამელხინება!!

კოლომონი.

ლანჩ. სამიკიტნოში—ხუთის სიმღერა ბ-ძისა.

მე ვარ და ჩემი ოლარი
გამთენებელი ღამისა,
დავწვები ჯავრი ჩამყვება
სამი მეძავი ქალისა...

სასამართლოში.

რედაქტორი „მ ა თ რ ა ხ ი“-სა
სუდში იყო მიცემული
და გუშინ-წინ განაჩენმა
ცოტა დაუღონა გული!!
თუმც ვექილი თავ-განწირვით
ეკვეთა და შეეომა,
პალატამ მაინც მიუძღვნა
მას ერთი წლით მეტეხს ჯდომა.
ახლა ფიქრობს: განაჩენი
სენატისკენ გადიტანოს
და იქნება ახალ-წელმა
ნუგეში რამ მოიტანოს.
თორემ „ჩემი სიმღერისთვის“
თუ ციხეში უკრეს თავი,
ვეტყვი ეშმაკს: „ა, ძმობილო,
ხალხი მათრახ დასაკრავი!“.

სათარ-ხანი.

შემდეგი ნომერი „ეშმაკისა“ გამოვა კვირას 28 დეკემბერს.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუსის ქ. № 3.
გამომცემელი პ. კალანდაძე.